



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
თბილისის აკოლონ ქუთათელაძის სახელობის  
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

**ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა**

**დიზაინის ფაკულტეტი**

**ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება**

**პროგრამის ხელმძღვანელები :**

თეიმურაზ სარიშვილი, ასოცირებული პროფესორი  
ეკა სარიშვილი, ასოცირებული პროფესორი

დამტკიცებულია

თსსა დიზაინის საბჭოს მიერ

2023 წლის 5 აპრილის სხდომის ოქმი № 5

თსსა აკადემიური საბჭოს მიერ

2023 წლის 24 აპრილის სხდომის ოქმი №23

**პროგრამის სახელწოდება :** 0214.1.4 ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება /Furniture Design and Artisting Processing of Wood

**ფართო სფერო** (მიმართულება) : 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები Arts and Humanities

**ვიწრო სფერო** (დარგი/სპეციალობა) : 021 ხელოვნება Arts

**დეტალური სფერო** (ქვედარგი/სპეციალიზაცია) : 0214 გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა) Handicrafts

**განათლების საფეხური :** უმაღლესი განათლების პირველი საფეხური/ბაკალავრიატი (6)

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია :** ხელოვნების ბაკალავრი ხის მხატვრულ დამუშავებაში Bachelor of Fine Arts in Woodworking

**ბაკალავრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნა :** ბაკალავრიატის სრული კურსის წარმატებით გავლისა და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომის მისაღებად ბაკალავრმა უნდა დააკმაყოფილოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე (გრანტის მოსაპოვებლად, ჩასაბარებელი საგნები პრიორიტეტის მიხედვით :

1. ქართული ენა და ლიტერატურა ; 2. უცხოური ენა ; 3. მათემატიკა ; 4. ისტორია.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს თსსა შემოქმედებითი ტური. ინფორმაცია შემოქმედებითი ტურის შესახებ ხელმისაწვდომია აბიტურიენტისათვის ტურის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე.

შემოქმედებითი ტურის დებულება იხ. თსსა ვებგვერდზე [https://drive.google.com/file/d/14s8V8Pe\\_kHNyr9r7JjhgApk6i0kfybwy/view](https://drive.google.com/file/d/14s8V8Pe_kHNyr9r7JjhgApk6i0kfybwy/view)

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. კერძოდ,

I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

II. საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

III. პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/ სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე. იხ. თსსა ვებგვერდზე <https://drive.google.com/file/d/1oHolwz6ZS2QpNDPetCuWV-9IuQVZnAg/view>

სწავლების ენა - ქართული

სწავლის ხანგრძლივობა : 4 წელი (8 სემესტრი)

პროგრამის მოცულობა - 240 კრედიტი (ECTS), მათ შორის :

- სპეციალობის დისციპლინები - 140 კრედიტი
- საბაზისო საგანი - 18 კრედიტი
- საუნივერსიტეტო - 36 კრედიტი
- არჩევითი დისციპლინები - 46 კრედიტი

1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ.

ერთი აკადემიური წელი - 2 სემესტრი, კრედიტის მოცულობა - 60 (ECTS)

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა

1 სემესტრი მოიცავს - სასწავლო კვირათა ერთობლიობას და სასესიო პერიოდს, აქედან, სააუდიტორიო მეცადინეობები - 15 სასწავლო კვირა (16,17,18 კვირა)

1 სემესტრის განმავლობაში - ერთი შუალედურის გამოცდა.

სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ - დასკვნითი გამოცდა.

დასკვნითი გამოცდებისთვის განკუთვნილია - 2 კვირა და დამატებით გამოცდისათვის 1 კვირა

#### • პროგრამის აღწერა

პროგრამა მოიცავს ხის მხატვრულ ნაკეთობათა შექმნას და ამ ნაკეთობათა შექმნისთვის საჭირო კონსტრუქციული გადაწყვეტისა და საშემსრულებლო ტექნოლოგიური ოპერაციების შესწავლას. ხეზე კვეთის სხვადასხვა სახეობების მასალაში შესრულებას, მოცულობითი პროფილიანი მხატვრული ელემენტების გამოჩარხვას, მოზაიკური ტექნოლოგიების მარკეტრის დამზადებას სხვადასხვა ტექსტურიანი მერქნის ანათალი მპონისაგან, სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების ავეჯის მაკეტის შექმნას დეკორის ელემენტებით

მოცემულ მასშტაბში. მერქნის ზედაპირის მოპირკეთების სახეობებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს, უახლეს მერქნულ მასალებს და მათ გამოყენებას ავეჯის წარმოებაში, ფურნიტურისა და ტრანსფორმაციის მექანიზმების სახეობებს, წებობის ნაირსახეობებს და სხვა. ავეჯის პროექტირება ხორციელდება საცხოვრებელი ბინების სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების სათავსებისთვის ( მისაღები ოთახი, სამზარეულო, საძინებელი ოთახი, საბავშვო ოთახი და სხვა.), სადაც ძირითადი ყურადღება ეთმობა პროდუქციის ხარისხის განსაზღვრას. ხარისხის შეფასება დაფუძნებულია ნაკეთობის სამომხმარებლო თვისებების ანალიზზე, მის კონსტრუქციაზე, გამოყენებულ მასალებზე, ნაკეთობის კავშირზე ადამიანსა და გარემოზე. საკურსო პროექტების უკეთ წარმოჩინებისათვის კომპოზიციასთან ერთად პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს რასტრული, ვექტორული და სამგანზომილებიანი გრაფიკის შესწავლა (3dsmax, photoshop, coreldraW ციფრულ პროგრამებში.)

საცხოვრებელი ბინებისთვის განკუთვნილი ავეჯის პროექტირება მოიცავს ავეჯის ინტერიერში განლაგებას, გეგმარებას სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების ოთახებისთვის, სადაც გათვალისწინებულია ინტერიერისა და ავეჯის ფუნქციური თავისებურებები, ერგონომიული ნორმები და საერთაშორისო სტანდარტები. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე სუვენირული წარმოების ყველა კომპონენტს, რაც ძალზედ აქტუალურია დღევანდელ დღეს ტურიზმის განვითარების სფეროში. პროგრამა კომპოზიციისა და მასალაში მუშაობის გარდა მოიცავს სპეციალობის საგნების სხვა კომპონენტებსაც: კონსტრუქცია, ხის დამუშავების ტექნოლოგია და ინტერიერის დიზაინის საფუძვლებს. პროგრამა ორიენტირებულია ამ დარგის სპეციალისტების აღზრდაზე, რომლებიც პროგრამის ფარგლებში ათვისებული ზოგადთეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეძლებენ ავეჯის პროექტირებისა და ხის მხატვრული დამუშავების სფეროში წარმატებულ საქმიანობას. პროგრამა, ასევე მოიცავს როგორც ვიზუალური ხელოვნების საბაზისო კურსს (ხატვა, ფერწერა, ქანდაკება) აგრეთვე, ხელოვნების ისტორიის ზოგად თეორიულ კურსებს (მსოფლიო ხელოვნების ისტორია, ქართული ხელოვნების ისტორია), ციფრულ ტექნოლოგიებს, ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ არჩევით საგნებს.

#### • პროგრამის მიზანი

მოდერნიზებული, ხარისხობრივად გამართული საგანმანათლებლო დისციპლინების პრაქტიკაში განხორციელება, კერძოდ : სტუდენტს მისცეს ზოგად თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ავეჯის პროექტირებისა და ხის მხატვრული დამუშავების მიმართულებით. დარგის თანამედროვე ტექნიკურ - ტექნოლოგიური მიღწევებისა და უახლესი და ტრადიციული საშემსრულებლო ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით მოამზადოს სპეციალისტი, რის საფუძველზედაც ის შეძლებს ამ სფეროში წარმატებულ შემოქმედებით საქმიანობას. პროგრამა ორიენტირებულია საავეჯო წარმოებისა და ხის მხატვრული დამუშავების სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნებზე

#### სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშიაგამოყენებითი ხელოვნების /(ხელნაკეთობის)უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელთან. უმაღლესი განათლების I და II საფეხურები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები ბრძანება MES 5 22

0000897354 12.08.2022) ოქმი გამოყენებითი ხელოვნების/(ხელნაკეთობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ).

- **ცოდნა / გაცნობიერება**

1. ახდენს ფართო, ზოგადი ცოდნის დემონსტრირებას ავეჯის პროექტირებისა და ხის მხატვრული დამუშავების პრაქტიკული და თეორიული პრინციპების შესახებ
2. სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე ახდენს მასალაში შესრულების ტექნიკების თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების და თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნის დემონსტრირებას
3. შეუსაბამებს შემოქმედებით ჩანაფიქრს გამოყენებით ფუნქციასა და ესთეტიურ-მხატვრული მხარეებს.
4. საპროექტო მოცემულობის შესაბამისად განსაზღვრავს ნაკეთობის სამომხმარებლო თვისებებს, ფუნქციონალურ ეკოლოგიურ მოთხოვნებს და ესთეტიკურ ღირებულებებს

- **უნარი**

5. პროექტირებისა და მასალაში შესრულების მიზნით მოიძიებს შესაბამის ინფორმაციას, მოცემულობის ფარგლებში აყალიბებს შემოქმედებით იდეას და არჩევს სათანადო მასალებს
6. მასალაში შესრულების თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენებით ქმნის ავეჯისა და ხის მხატვრულ ნაკეთობათა ნიმუშებს

7. წინასწარ განსაზღვრული მითითებებით გეგმავს საპროექტო სამუშაო პროცესს და შემუშავებული ესკიზების მიხედვით, ციფრული საპროექტო ტექნოლოგიების (3dsmax, photoshop, coreldraw) გამოყენებით ახორციელებს შემოქმედებით პროექტს
8. თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით წარუდგენს თავის ნამუშევარს დაინტერესებულ მხარეებს წერილობით ან/და ზეპირად.

- **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

9. შემოქმედებით, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საქმიანობაში ითვალისწინებს უსაფრთხოების ზომებს, ეკო-მეგობრულობის, უნარჩენო წარმოებისა და პროფესიული ეთიკის პრინციპებს
10. ნაშრომის/პროექტის შემუშავებისას იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებსა და აკადემიურ სტანდარტებს
11. განსაზღვრავს თავისი სწავლის, პროფესიული განვითარების საჭიროებებს და გეგმავს კარიერულ განვითარებას
12. სტუდენტი დამოუკიდებლად მართავს პირად საქმიანობას

**სწავლება/სწავლის მეთოდები :**

პროგრამის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე სწავლება-სწავლების მეთოდები მიმდინარეობს შემდეგი ფორმატით :  
ლექცია, სტუდიური/ლაბორატორიული სწავლება, პრაქტიკული მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, გუნდური მუშაობა,

ურთიერთსწავლება, შემთხვევის ანალიზი, შემოქმედებითი პროექტი / პროექტზე დაფუძნებული სწავლება, კონსულტაცია, სასწავლო პრაქტიკა, სემინარი, პროექტირება, მოდელირება, ექსპონირება / პრეზენტაცია და სხვა

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა :**

სასწავლო კომპონენტის შეფასება ასქულიანია, მრავალკომპონენტური. შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი კონკრეტული საგნის სილაბუსში.

სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება, სემესტრის განმავლობაში ითვალისწინებს 2 გამოცდას :

- შუალედური შეფასება - 40 ქულა (მაქსიმალური)
- დასკვნითი შეფასება - 60 ქულა (მაქსიმალური)

სასწავლო კომპონენტის შეფასების საერთო ქულა - 100 ქულა (მაქსიმალური).

ქულები	შეფასება		შეფასების კვალიფიკაცია
91% - 100%	A	ფრიადი	დადებითი
81% - 90%	B	ძალიან კარგი	დადებითი
71% - 80%	C	კარგი	დადებითი
61% - 70%	D	დამკმაყოფილებელი	დადებითი
51% - 60%	E	საკმარისი	დადებითი
41% - 50%	FX	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება	უარყოფითი
0% - 40%	F	ჩაიჭრა (კურსი თავიდან უნდა გაიროს (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)	უარყოფითი

**საბაკალავრო ნაშრომის შეფასება :**

შეფასების მეთოდებად გამოყენებული განვითარების დინამიკის მაჩვენებელი ინსტრუმენტი - პრეზენტაცია, პორტფოლიო, ექსპოზიცია, გამოფენა/შოუ, ინტერვიუ, რეფერატი და სხვ.

**შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს :**

- ვალიდურობას ;
- სანდოობას ;
- გამჭვირვალობას ;
- სამართლიანობას ;
- ობიექტურობას

**საბაკალავრო ნაშრომი** ავეჯის პროექტირებასა და ხის მხატვრულ დამუშავებაში თვისობრივად წარმოადგენს სემესტრული სასწავლო პროცესის გაგრძელებას საბაკალავრო ნაშრომი სრულდება მე -VIII სემესტრში და მისი მოცულობა შეადგენს 20 კრედიტს. ფასდება ჩვეულ სემესტრულ ფორმატში, შუალედური შეფასების მეშვეობით. დასკვნითი გამოცდის ფორმატი - ექსპოზიცია ( მასალაში შესრულებული ნაკეთობა და სამგანზომილებიანი გრაფიკით შესრულებული საპროექტო ნამუშევარი), რომელიც ფასდება თსს აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ - მასწავლებლებისაგან (დარგის წარმომადგენლებისაგან) შემდგარი კომისიის მიერ. სტუდენტმა უნდა შეძლოს ნაშრომის-პროექტის საჯარო წარდგინება, იდეის და მისი განხორციელების მკაფიო დასაბუთება-დაცვა. მოკლე წარდგინების ფორმით მოხსენებით გამოდის ასევე ნაშრომის ხელმძღვანელი. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები :

- ფორმისა და კონსტრუქციის შესაბამისობა ფუნქციასთან - 10 ქულა
- სწორი კონსტრუქციულ - ტექნოლოგიური გადაწყვეტა - 10 ქულა
- ავეჯის მთლიანი კომპლექტის და ინტერიერის ერთ სტილში გადაწყვეტა , დაპროექტება - 10 ქულა
- საპროექტო მოცემულობის ფერითი გადაწყვეტა - 10 ქულა
- სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების, ერგონომიკისა და სტანდარტების გათვალისწინება - 10 ქულა
- ნამუშევრის შესაბამისობა თანამედროვე ტენდენციებთან და მოთხოვნებთან - 10 ქულა
- საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის შედგენის სიზუსტე - 10 ქულა
- დეკორის ელემენტების მხატვრული დამუშავების ხარისხი - 10 ქულა
- ნამუშევრის მასალაში შესრულების ხარისხი და უსაფრთხოების ნორმების დაცვა - 10 ქულა
- პროექტის გრაფიკული ვიზუალიზაციის ხარისხი - 10 ქულა

**დასაქმების სფეროები :** წარმოების ტექნოლოგიის განვითარებამ სამომხმარებლო ბაზარზე წარმოშვა დიდი კონკურენცია, რამაც თავისთავად შექმნა წინაპირობა მეწარმეებს ეწარმოებინათ ავეჯის უფრო ორიგინალური ფორმები მაღალმხატვრული დეკორის ელემენტებით და ტრანსფორმაციის მექანიზმებით, ჩვენი კურსდამთავრებულები მომზადებულები ხვდებიან ამ გამოწვევებს, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს დასაქმდნენ შემდეგი მიმართულებით: საქართველოში არსებული უმსხვილესი საავეჯო საწარმოები, ხის მხატვრული დამუშავების საწარმოები, საპროექტო - საკონსტრუქტორო ბიუროები, ავეჯის სალონები, სარეკლამო სააგენტოები, თეატრები, ტელევიზია, კინოსტუდია და სხვა

- პროგრამის სტრუქტურა (სემეტრების მიხედვით გათვალისწინებული კრედიტების ოდენობა )

საგნების დასახელება / BA	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	EGTS
საბაზისო დისციპლინები	9	9							18
საუნივერსიტეტო დისციპლინები	12	12	6	6					36
არჩევითი დისციპლინები			9	9	12	10	3	3	46
სპეციალობის დისციპლინები	10	10	15	15	20	20	25	25	140
<b>სულ</b>	<b>31</b>	<b>31</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>32</b>	<b>30</b>	<b>28</b>	<b>28</b>	<b>240</b>

- პროგრამის სასწავლო გეგმა

საგნების დასახელება	ECTS / სთ	ლექცია (კვირა)	სთ/ლექცია	საკონტაქტო	არასაკონტაქტო	ლექცია-პრაქტიკები	შუალედური შეფასება (ეზი)/სთ	დასკვნითი გამოცდა/სთ
ხატვა /ვიზუალური ხელოვნება I	3/75							
ხატვა /ნახატის საფუძვლები II	3/75							
ფერწერა (ფერწერა/ მოცულობა. ფაქტურა, სივრცე )	3/75							
ფერწერა (ფერწერა/ მოცულობა. ფაქტურა, სივრცე )	3/75							
გეომეტრიული მოდელირება /ზოგადი კურსი/ (ორთოგონალური გეგმილები, აქსონომეტრია, პერსპექტივი	3/75	15	2	33	42	26	4	3
ინფორმაციული ტექნოლოგიები და საოფისე უნარები	3/75	15	2	33	42	26	4	3
<b>სულ:</b>	<b>18</b>							
<b>საუნივერსიტეტო დისციპლინები</b>								
ძველი სამყაროს ხელოვნება	3/75	15	2	33	42		4	3
შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხელოვნება	3/75	15	2	33	42		4	3
XVII-XIX სს-ის ევროპის ხელოვნება	3/75	15	2	33	42		4	3
ახალი და უახლესი დროის ხელოვნება (XX-XXI სს)	3/75	15	2	33	42		4	3
უცხო ენა I	3/75	15	2	33	42		4	3
უცხო ენა II	3/75	15	2	33	42		4	3
უცხო ენა III	3/75	15	2	33	42		4	3
უცხო ენა IV	3/75	15	2	33	42		4	3
აკადემიური წერა	3/75	15	2	33	42		4	3
<b>სულ:</b>	<b>36</b>							
<b>არჩევითი დისციპლინები</b>								



სულ:	46							
<b>სპეციალობის დისციპლინები</b>								
კომპოზიციის საფუძვლები	5/125	15	6	94	31	90	2	2
კომპოზიციის საფუძვლები	5/125	15	6	94	31	90	2	2
კომპოზიცია I	3/75	15	4	64	11	60	2	2
კომპოზიცია II	3/75	15	4	64	11	60	2	2
კომპოზიცია III	5/125	15	6	94	31	90	2	2
კომპოზიცია IV	5/125	15	6	94	31	90	2	2
კომპოზიცია V	5/125	15	6	94	31	90	2	2
კომპოზიცია VI	5/125	15	6	94	31	90	2	2
კომპოზიცია VII	5/125	15	6	94	31	90	2	2
მასალაში მუშაობა I	2/50	15	3	49	1	45	2	2
მასალაში მუშაობა II	2/50	15	3	49	1	45	2	2
მასალაში მუშაობა III	5/125	15	6	94	31	90	2	2
მასალაში მუშაობა IV	5/125	15	6	94	31	90	2	2
მასალაში მუშაობა V	5/125	15	6	94	31	90	2	2
მასალაში მუშაობა VI	5/125	15	6	94	31	90	2	2
მასალაში მუშაობა VII	5/125	15	6	94	31	90	2	2
კონსტრუირება I	3/75	15	4	64	11	60	2	2
კონსტრუირება II	3/75	15	4	64	11	60	2	2
კონსტრუირება III	3/75	15	4	64	11	60	2	2
კონსტრუირება IV	3/75	15	4	64	11	60	2	2
ხის დამუშავების ტექნოლოგია I	2/50	15	3	49	1	45	2	2
ხის დამუშავების ტექნოლოგია II	2/50	15	3	49	1	45	2	2
ხის დამუშავების ტექნოლოგია III	2/50	15	3	49	1	45	2	2
ფორმა და ორნამენტი I	5/125	15	6	94	31	90	2	2
ფორმა და ორნამენტი II	5/125	15	6	94	31	90	2	2
ციფრული მოდელირება	5/125	15	6	94	31	90	2	2
მხატვრული პროექტირების ციფრული ტექნოლოგიები I	5/125	15	6	94	31	90	2	2
მხატვრული პროექტირების ციფრული ტექნოლოგიები II	5/125	15	6	94	31	90	2	2

ინტერიერის დიზაინის საფუძვლები	5/125	15	6	94	31	90	2	2
ინტერიერის დიზაინი	5/125	15	6	94	31	90	2	2
პრაქტიკა	2/50	15	3	49	1	45	2	2
საბაკალავრო ნაშრომი	15/375			270	105			
<b>სულ:</b>	<b>140</b>							

• სასწავლო რუკა

საგნების დასახელება	კურსზე დაშვების წინაპირობა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	EGTS
<b>საბაზისო დისციპლინები</b>		<b>9</b>	<b>9</b>							<b>18</b>
ხატვა I	წინაპირობის გარეშე	3								
ხატვა II	ხატვა I		3							
ფერწერა I	წინაპირობის გარეშე	3								
ფერწერა II	ფერწერა I		3							
IT ტექნოლოგია	წინაპირობის გარეშე	3								
გეომეტრიული მოდელირება	წინაპირობის გარეშე		3							
<b>საუნივერსიტეტო დისციპლინები</b>		<b>12</b>	<b>12</b>	<b>6</b>	<b>6</b>					<b>36</b>
ძველი სამყაროს ხელოვნება	წინაპირობა გარეშე	3								
შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხელოვნება	მსოფლ.ხელ. ისტორია I		3							
XVII -XIX სს -ის ევროპის ხელოვნება	მსოფლ.ხელ.ისტორია II			3						
ახალი და უახლესი დროის ხელოვნება (XX -XXI სს )	მსოფლ.ხელ.ისტორია III				3					
წინაქრისტიანული და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება	წინაპირობა არ აქვს	3								
ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება (XIXXXI სს )	ქართ. ხელ. ისტორია I		3							
უცხო ენა I	უცხო ენა I	3								
უცხო ენა II	უცხო ენა II		3							
უცხო ენა III	უცხო ენა III			3						
უცხო ენა IV	წინაპირობის გარეშე				3					
ფილოსოფია	წინაპირობის გარეშე		3							
აკადემიური წერა	წინაპირობის გარეშე	3								
<b>არჩევითი დისციპლინები</b>				<b>9</b>	<b>9</b>	<b>12</b>	<b>10</b>	<b>3</b>	<b>3</b>	<b>46</b>



ციფრული მოდელირება	წინაპირობის გარეშე			5						
მხატვრული პროექტირების ციფრული ტექნოლოგიები I	წინაპირობის გარეშე					5				
მხატვრული პროექტირების ციფრული ტექნოლოგიები II	მხატვრული პროექტირების ციფრული ტექნოლოგიები I						5			
ინტერიერის დიზაინის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე							5		
ინტერიერის დიზაინი	ინტერიერის დიზაინის საფუძვლები								5	
პრაქტიკა	წინაპირობის გარეშე								2	
საბაკალავრო ნაშრომი	კომპოზიცია VII									15
<b>სულ</b>		<b>31</b>	<b>31</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>32</b>	<b>30</b>	<b>28</b>	<b>28</b>	<b>240</b>

• პროგრამის ადამიანური რესურსი :

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ თსსა ავილირებული ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორები, მოწვეული პედაგოგები, მათ შორის :

№	პედაგოგი სახელი/გვარი	სტატუსი	დისციპლინა
1	თეიმურაზ სარიშვილი	ასოცირებული პროფესორი	კომპოზიცია I • კომპოზიცია II • კომპოზიცია III • კომპოზიცია IV • კომპოზიცია V • კომპოზიცია VI • კომპოზიცია VII • მასალაში მუშაობა V • საბაკალავრო ნაშრომი
2	ეკა სარიშვილი	ასოცირებული პროფესორი	• კომპოზიცია II • კომპოზიცია III • კომპოზიცია IV • კომპოზიცია V • კომპოზიცია VI • კომპოზიცია VII • საბაკალავრო ნაშრომი
3	გიორგი ბერიკაული	ასისტენტ პროფესორი	• მასალაში მუშაობა I

			<ul style="list-style-type: none"> <li>• მასალაში მუშაობა II</li> <li>• მასალაში მუშაობა III</li> <li>• მასალაში მუშაობა IV</li> <li>• მასალაში მუშაობა V</li> <li>• მასალაში მუშაობა VI</li> <li>• მასალაში მუშაობა VII</li> <li>• საბაკალავრო ნაშრომი</li> </ul>
4	ავთანდილ ინასარიძე	ასისტენტ პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> <li>• მასალაში მუშაობა V</li> <li>• მასალაში მუშაობა VI</li> <li>• მასალაში მუშაობა VII</li> <li>• ხის დამუშავების ტექნოლოგია I</li> <li>• ხის დამუშავების ტექნოლოგია II</li> <li>• ხის დამუშავების ტექნოლოგია III</li> <li>• პრაქტიკა</li> <li>• საბაკალავრო ნაშრომი</li> </ul>
5	ლეილა ქუფარშვილი	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონსტრუირება I</li> <li>• კონსტრუირება II</li> <li>• კონსტრუირება III</li> <li>• კონსტრუირება IV</li> <li>• საბაკალავრო ნაშრომი</li> </ul>
6	დავით ნიკოლაიშვილი	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინტერიერის დიზაინის საფუძვლები</li> <li>• ინტერიერის დიზაინი</li> </ul>
7	ლიკა სარიშვილი	მოწვეული პედაგოგი	<ul style="list-style-type: none"> <li>• კომპოზიცია I</li> <li>• ფორმა და ორნამენტი I</li> <li>• ფორმა და ორნამენტი II</li> <li>• მხატვრული პროექტირების ციფრული ტექნოლოგიები I</li> <li>• მხატვრული პროექტირების ციფრული ტექნოლოგიები II</li> <li>• ციფრული მოდელირება</li> </ul>